პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 მაისი 1968 პარასკევი

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი ● № 113 (14109)

ხუთწლედი — ვადამდე

ოთხი მილიონი მანეთით მეტი

ქუთაისი. (საკ. კორ.). შეჯამებულია ქუთაისის მრეწველობის ოთხი თვის მუშაობის შედეგები.

ფართოდ გაანალიზეს რა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დისციპლად შეხვედრისათვის, რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ხუთწლედის მესამე წლის განვლილ ოთხ თვეში გამოუშვეს 4 მილიონ 272 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე დავალება ითვალისწინებდა; კეგმის გადამეტებით რეალიზებულია 1 მილიონ 708 ათასი მანეთის ნაწარმი.

პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებანი გადაჭარბებით შესრულეს საავტომობილო, ელექტრომექანიკური, სატრაქტორო, ლითონფონის, რძის, ლუდის, ღვინის ქარხნების, მაუდის, ტრიკოტაჟის, ბამბეულის საქსოვი, № 4 და № 8 სამკერვალო, საკონდიტრო ფაბრიკების, აბრეშუმისა და ტყავფეხსაცმლის კომბინატების, „ქუთაბარიტის“ მაღაროთა სამმართველოსა და ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

სასიხარულო ცნობა — დედაქალაქიდან

თელავი. (საკ. კორ.). სანინორის კოლმეურნეობა „აბრეველი მაისის“ მშრომელებმა ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მიიღეს. 1967 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული სასახელო მიჩენებლებისათვის სანინორის კოლმეურნეობა დაჯილდოებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით.

მოსკოვიდან მიღებულ სასიხარულო ცნობას პირველმა ... [illegible] ... მათ გადაჭარბებით შესრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის ორივე კვარტალის დავალებები, ვადამდე დაამთავრეს საგაზაფხულო თესვის სამუშაოები და ახლა მწვანე ოპერაციებთან ერთად ბორდოს ხსნარითა და გოგირდით ვაზის წამლობას ეწევიან. მათი ერთსულოვანი გადწყვეტილებაა წელს სახელმწიფოს ნაცვლად 1.100 ტონისა მიჰყიდონ 1.400 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

მნიშვნელოვანი მოვენტი კომუნისტების ცხოვრებაში

პოლიტიკური განათლების მიზანია აღზარდოს ნამდვილი კომუნისტები...

ვ. ი. ლენინი.

ბაკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მოწვევიდან ერთ თვეზე მეტი გავიდა. პლენუმის გადაწყვეტილებები გაბდა კომუნისტების, უპარტიო მშრომელთა მოქმედების პროგრამა. პარტიამ საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების ღონისძიებებთან ერთად დასახა თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობის კონკრეტული ამოცანები.

კომუნისტურ პარტიას თავის მოწოდებად მიაჩნია ის, რომ აღზარდოს მშრომელები მაღალი პოლიტიკური შეგნებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის, ყაირათიანობისა და საერთო სახალხო სიმდიდრის გადიდებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია:

„პარტიულმა ორგანიზაციებმა იდეური აღზრდის უველა არსებული საშუალება უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ თვითეულ კომუნისტსა და საბჭოთა ადამიანს განუმტკიცონ კომუნისტური რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობები, იდეური შეუდრეკელობა და იმის უნარი, რომ წინააღმდგომ ბურჟუაზიული გავლენის ყოველ ფორმას“.

ლენინური ტრადიციებისადმი ერთგული ჩვენი პარტია ყოველთვის უკავშირდება პარტიულ პროპაგანდას, კომუნისტთა და უპარტიოთა თეორიულ სწავლებას იმ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც მის წინაშე იდგა რევოლუციური ბრძოლის, სოციალისტური, კომუნისტური შენებლობის სხვადასხვა ეტაპზე. ეს პარტიულ პროპაგანდას მებრძოლ, შეტევითს ხასიათს აძლევს.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისა და აპრილის პლენუმის გადაწყვეტილების განხორციელების ვითარებაში აკამებს მიმდინარე წელს თავის მუშაობას მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი — კომუნისტთა და უპარტიოთა პოლიტიკური სწავლების სისტემა. ამ მნიშვნელოვან ეტაპს კომუნისტების სწავლებაში აძლიერებს ისიც, რომ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში გაჩაღებულია დიდი მზადება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ. კლენუმი, რომელიც ჩვენი ბაზეთის მკითხველებმა იციან, განიხილავს საკითხს: „კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური განათლების მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

წინასწარი მონაცემები მოწმობენ, რომ პოლიტიკური განათლების ქსელში სასწავლო წლის შედეგების შეჯამებისათვის კარგად ემზადებიან თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ზუგდიდის საქალაქო და მახარაძის, გორის, შუახევის, თერჯოლის რაიონული პარტიული ორგანიზაციები.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში უკვე გაიმართა პოლიტიკური განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისადმი მიძღვნილი თათბირები. გადაწყვეტილია, რომ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებში შეჯამებელი მეცადინეობა, გასაუბრებანი და სხვ. დამთავრდეს მაისის მეორე ნახევარში, ხოლო ქალაქად ივნისის პირველ ნახევრამდე.

პროპაგანდისტებმა პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა მოსთხოვონ კომუნისტებს, თუ როგორ ახორციელებენ ისინი თავიანთ საწესდებო მოვალეობას იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, როგორ სწავლობდნენ მთელი სასწავლო წლის მანძილზე. პოლიტიკური ცოდნის შეფასებაში არ უნდა დავუშვათ ლიბერალიზმი. აქ საჭიროა მაღალი მოთხოვნელობა. კომუნისტი, რომელიც სისტემატურად არ ამაღლებს იდეურ-თეორიულ დონეს, ვერ იქნება მოწოდების სიმაღლეზე, გაუძნელდება ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამიტომ ახეთ ამხანაგს უნდა ვაგრძნობინოთ პასუხისმგებლობა თავიანთი პოლიტიკური უდარდელობის დასაძლევად.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სხვა ნაკლოვანებებსაც. ზოგან ცალმხრივად მიუდგნენ პარტიულ სწავლებას და ძირითადი ყურადღება გადაატანეს მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეზე — დაკომპლექტეს სკოლები, სემინარები და სხვ. ცხადია, მარტო ორგანიზაციული მხარე სწავლებაში მთავარი არ არის. აქ მთავარია იდეური ღონე. მსმენელთა დასწრებას, მეცადინეობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მას თან ახლავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლა. ამიტომ საჭირო იქნება შეჯამებელ მეცადინეობაზე ყურადღება გავამახვილოთ სწორედ იდეურ მხარეზე, მსმენელთა მიერ მასალის შეთვისების დონეზე. მსმენელებს უნდა მოვთხოვოთ ღრმა თეორიული ცოდნა და არა მხოლოდ ფაქტების, თარიღებისა და ციტატების მექანიკური დაზეპირება.

შეჯამებელი მეცადინეობა, საუბრები პოლიტსკოლებში და სემინარებზე უნდა დაეხმარონ კომუნისტებს, რომ განხილულ პრობლემათა ღრმა დასაბუთების საფუძველზე ამხილონ ანტიკომუნისტიზმის ხრიკები, ბურჟუაზიული პროპაგანდის უსუსურობა და სიყალბე. უნდა ცხადვყოთ, თუ როგორ ირღვევა, ამახინჯებს ადამიანს ცხოვრების კაპიტალისტური წესი, ვაჩვენოთ იმპერიალიზმის ანტიხალხური შინაარსი, მისი მხეცობა, დავნერგოთ მისდამი სიძულვილი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მემკვიდრეობის შესწავლა კომუნისტური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე პრობლემებთან ჯიდრო კავშირში ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია პარტიულ სწავლებაში. პარტიული ორგანიზაციები, პროპაგანდისტები პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობას იმიხათვის იყენებენ, რომ თვითეულ კომუნისტს განუვითარონ მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებების სისტემატური შესწავლის მოთხოვნილება.

შემაჯამებელი მეცადინეობის მოწყობის ფორმა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, ამ ფორმების შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მსმენელთა თეორიული მომზადების დონე და სურვილები, როგორ შეითვისეს სასწავლო მასალა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ასეთი მეცადინეობის მოწყობის დიდი გამოცდილება შეიძინეს. ეს არის ჯგუფური და ინდივიდუალური გასაუბრება შესწავლილი მასალის საკვანძო პრობლემებზე, თეორიული კონფერენციები, რეფერატების განხილვა და სხვ. სასარგებლოა გამოვიყენოთ კომუნისტთა ცოდნის გაღრმავებისა და მათი სწავლისადმი კონტროლის ყველა ეფექტიანი ფორმა, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება.

დაწყებითის პოლიტიკურ სკოლებში მიზანშეწონილია მეცადინეობა მოეწყოს შემდეგ თემებზე: ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელთათვის: „ლენინიზმის დიდი იდეების გაჩარჯება“; პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელთათვის — „კომუნიზმი ჩვენი ეპოქის დროშაა“. იქ, სადაც სწავლობდნენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დოკუმენტებსა და მასალებს, აგრეთვე კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, გასაუბრების თემებს განსაზღვრავენ თვით პროპაგანდისტები პარტიულ კომიტეტებთან და ბიუროებთან შეთანხმებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ სკოლებში შემაჯამებელი მეცადინეობა ეწყობა იმ კურსის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე, რომელსაც ამხანაგები სწავლობდნენ მიმდინარე სასწავლო წელს (სკკპ ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფია). ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ძირითადი თეორიული პრობლემების საფუძვლიან განხილვას, გამოვარკვიოთ, თუ რამდენად იცნობენ მსმენელები კურსის საკვანძო საკითხებს.

თეორიული, პროგლემური და მეთოდოლოგიური სემინარების მსმენელთათვის, აგრეთვე იმ კომუნისტებისათვის, რომლებიც ინდივიდუალური გეგმებით მუშაობენ, ეწყობა თეორიული გასაუბრება და კონფერენციები.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებსა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებში სასწავლო გეგმების შესაბამისად, ისევე როგორც წინა წლებში უნდა მოეწყოს გამოცდები და ჩათვლები.

მთავარი სადღეისო ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე დავამთავროთ სასწავლო წელი, განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები და დავსახოთ პარტიული განათლების შემდგომი სრულყოფის გზები მომავალი სასწავლო წლისათვის. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან ეზრუნონ ამისათვის, რომ შეჯამებელი მეცადინეობა ყველგან ჩაატარონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის მზადების ნიშნით. გამოავლენონ ნაკლოვანებები, მოიფიქრონ მარკეტული წინადადებები კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური სწავლების შემდგომი სრულყოფისათვის.

წლების მანძილზე ტრადიციად იქცა სასწავლო წლის შედეგების განხილვა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე და პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე. ეს ტრადიცია ახლაც არ უნდა დავარღვიოთ. მაგრამ წელს ეს განხილვა უნდა დავუკავშიროთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლას. აქვე უნდა შევიმუშაოთ მთელი ზაფხულისათვის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის კონკრეტული გეგმა. მასში სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებამ და მასთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა. განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება ლექციური პროპაგანდის გაძლიერებაზე.

სასწავლო წლის შეჯამება ნიშნავს პოლიტიკური განათლების სისტემაში მომავალი სასწავლო წლისათვის მზადებას, და ეს ახეც უნდა იყოს. პარტიას პროპაგანდისტი მიაჩნია თავის ოჭრის ფონდად. ამიტომაც ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ამ ძვირფას ფონდს. უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანებით პროპაგანდისტთა კადრების შემდგომი შევსებისათვის. ყურადღებით მოვეკიდოთ პროპაგანდისტთა კადრების მომზადების პერსპექტიულ დაგეგმვას.

შემაჯამოთ და ვემზადოთ! ეს არის ახლა უმნიშვნელოვანესი მომენტი კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებაში.

საქართველოს მასწავლებელთა III ყრილობას

ძვირფასნო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან რესპუბლიკის მასწავლებელთა მესამე ყრილობის დელეგატებს და მათი სახით სკოლისა და სახალხო განათლების ყველა მუშაკს.

მეტად დიდია სკოლის როლი ახალგაზრდობისა და მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. თავისი არსებობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა საქართველოს სკოლა, მასწავლებლები, სახალხო განათლების მუშაკები მთელი თავიანთი ენერგიითა და შემოქმედებითი ნიჭით დაუცხრომლად ემსახურებოდნენ და ემსახურებიან მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის დიდ საერთო-სახალხო საქმეს. მათმა უანგარო და თავდადებულმა შრომამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, ტექნიკის, მეცნიერებისა და კულტურის გაფურჩქვნისა და აყვავების, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

ჩვენი სკოლის მიერ აღზრდილი ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი გმირულად შრომობდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, მათ თავიანთი მკერდით დაიცვეს დედა-სამშობლო დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, ხოლო ომისშემდგომ პერიოდში ვაჟკაცურად იბრძოდნენ დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღადგენად. სწორედ ისინი იყვნენ კოსმოსური სივრცეების პირველი დამპყრობნი.

სახელოვანი ახალგაზრდები აღზარდეს და გამოაწრთეს ჩვენმა მასწავლებლებმა. სკოლამ მისცა მათ მეცნიერებათა საფუძვლების მკვიდრი ცოდნა, ჩაუნერგა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეები, კომუნისტური მორალის უაღრესად ჰუმანური პრინციპები.

საქართველოს მასწავლებელთა წინაშე თანამედროვე ეტაპზე ახალი, სერიოზული ამოცანები დგას. ახლანდელ ეტაპს, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა აღნიშნა, ახასიათებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება. ამჟამად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი შეუფასებლობის, მისგან გადახვევის წინააღმდეგ პრინციპულ, შეურიგებელ ბრძოლას.

სკოლამ და მასწავლებლებმა თავიანთი მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ იდეოლოგიური ბრძოლის საკითხი. გაკვეთილზე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა განხორციელების დროს, მოზარდი თაობის აღზრდის ამოცანების გადაჭრისას ისინი დაუცხრომლად უნდა ებრძოდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინებას, ზრდიდნენ ჩვენს მოსწავლეს ახალგაზრდობას გმირულ შრომითსა და საბრძოლო ტრადიციებზე, დამაჯერებლად უჩვენებდნენ საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა სიდიადეს, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით.

სკოლისა და მასწავლებლის ამოცანაა კიდევ უფრო სრულყოფ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით შეაიარაღონ მოსწავლე ახალგაზრდობა, უნარიანად და სისტემატურად აღზარდონ მოზარდი თაობა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების, სამშობლოსა და საბჭოთა ხალხისადმი უანგარო სიყვარულის, მამათა გმირული საქმეების, რევოლუციური წარსულის პატივისცემის სულისკვეთებით. აღმზრდელი მოსწავლეს პირადი მაგალითით უნდა უნერგავდეს კეთილშობილურ იდეებს, შრომისადმი, პატიოსნებისადმი, გულმართლობისა და პრინციპულობისადმი სიყვარულს. სკოლა და მასწავლებელი მოვალენი არიან ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა ორგანულად დაუკავშირონ სახელოვანი იუბილეების — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსეულად შესვედრისათვის მზადებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს მასწავლებლები, სახალხო განათლების თვითეული მუშაკი, ყველა მშობელი კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით იბრძოლებენ იმისათვის, რომ მოზარდი თაობა შეაიარაღონ მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით, თავიდან აიცილონ მას ბურჟუაზიული იდეოლოგიის მავნე გავლენა, აღზარდონ ჩვენს სამშობლოს მცოდნე ადამიანები, მგზნებარე პატრიოტები, კომუნიზმის მშენებელთა ჯანსაღი თაობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

პედაგოგის მაღალი მოვალეობა

საქართველოს მასწავლებელთა მესამე ყრილობა

16 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო რესპუბლიკის მასწავლებელთა III ყრილობამ. ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა.

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სარედაქციო კომისია, სამდივნო, სამანდატო კომისია, დაამტკიცეს ყრილობის მუშაობის დღის წესრიგი.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ა. როდიონოვი, დ. სტურუა, რ. ფარეშიძე, ბ. ჩოგოშვილი, ბ. ძოწენიძე, შ. ჭანკვეტაძე, ბ. ჯაფარიძეი, მ. კუჭავა, ო. ლოლაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ლ. პალინკინა, რესპუბლიკის მინისტრები, განათლების ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, აგრეთვე ყრილობაზე ჩამოსული სტუმრები — სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილე ბ. ნოსკოვი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. მარკუშევიჩი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ო. იანუშკევიჩი, სომხეთის სსრ განათლების მინისტრი შ. სიმონიანი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. მამედოვი, ლატვიის სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ი. კაბელუსკასი, უზბეკეთის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ს. რაზიმოვი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე ა. იმონინი, ბელორუსიის სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. სამარინი და სხვები.

ტაშის გრიალში შეკრებილნი ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმების რესპუბლიკის მასწავლებელთა მესამე ყრილობისადმი, რომელიც წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. ჩოგოშვილმა.

მოხსენებისათვის „საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშობის გაუმჯობესების ღონისძიებანი“ სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ განათლების მინისტრს თ. ლაშქარაშვილს.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც გამოვიდნენ: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე თ. მგალობ, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ა. ჯინუა, თელავის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი მ. კვლიშვილი, აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. ფულეკიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი თ. სტეპჩენკო, თიანეთის სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე ნ. პაპარიძე, თბილისის პირველი საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ნ. ბიბაშაძე, თბილისის 102-ე საბავშვო ბაღის დირექტორი ნ. კალანდარიშვილი, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ბ. ძაბოშვილი, საქართველოს მეურნალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ბ. აბაშიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ლაზიძე.

ყრილობის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ: უკრაინის მასწავლებელთა სახელით პ. უდოვიჩენკო, სომხეთის სსრ განათლების მუშაკთა სახელით შ. სიმონიანი, რუსეთის ფედერაციის მასწავლებელთა სახელით პედაგოგიკის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი შ. მაძსიმენკო, ბელორუსიის განათლების მუშაკთა სახელით ა. სამარინი, აზერბაიჯანის მასწავლებელთა სახელით ა. ალიევი, ყაზახეთის მასწავლებელთა სახელით ყაზახეთის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა, რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ზ. ჯურნაბეკოვა.

ყრილობამ მოისმინა და მოიწონა სამანდატო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების გამგემ ი. კვაპაძემ.

ამით დამთავრდა საქართველოს მასწავლებელთა III ყრილობის მუშაობის პირველი დღე. (საქდესი).

* * *

სურათზე: საქართველოს მასწავლებელთა III ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. მეგრელიშვილი, თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ნ. ქოჩიაშვილი, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. ცინცარაძე, გეგეჭკორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე შ. ცანავა, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ვლებრიშვილი, ჰაიფორის რაიონის სოფელ სვერის საშუალო სკოლის დირექტორი რ. ბიწაძე, მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის საშუალო სკოლის მასწავლებელი ჟ. ახსაბაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სრულიად საკავშირო ეკონომიური თათბირი

16 მაისს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო თათბირი. ამ საქმიანი შეხვედრის მონაწილენი განაგრძობდნენ აზრთა გაზიარებას სექციებში.

სსრ კავშირის სამართლო ვაჭრობის 50 წლისთავის აღსანიშნავად საზეიმო კრება თბილისში

შესრულდა საბჭოთა საგარეო ვაჭრობის 50 წელი. ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საზეიმო კრება თბილისში, რომელიც 16 მაისს გაიმართა. კრებაში მონაწილეობდნენ საწარმოების, სამინისტროების, უწყებების წარმომადგენლები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის აპარატის, საქართველოს საგაჭრო პალატის მუშაკები.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გ. ჩოგოვაძემ.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულმა **რ. ელიგულაშვილმა.**

გ. ჩოგოვაძემ ქარხნების, ფაბრიკების, ორგანიზაციებისა და უწყებების კოლექტივებს, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ცალკეულ მუშაკებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგარეო ვაჭრობის საქმიანობაში, გადასცა საიუბილეო სიგელები და ნიშნები სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის 50 წლისთავის აღსანიშნავად. (საქდესი).

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთაბეს სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთაბე სესია გაიხსნება 1968 წლის 20 მაისს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი № 4, ტელეფონები: 99-08-54 და 99-56-18.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა შედგება 1968 წლის 20 მაისს დილის 10 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

ქება ქართული ჩაისა

მოსკოვი, 16 მაისი. (საქდესი). გაზეთებში თვალსაჩინო ადგილს გამოქვეყნებულმა სტატიებმა, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებმა, რომლებიც მიეძღვნა დედაქალაქში გამართული ქართული ჩაის დღეებს, განაწყვეს მოსკოველები იმლებურად შეეხედათ ხალხის ამ უძველესი საყვარელი სასმელისათვის.

ქართველი მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკების ნამდვილ დღესასწაულად გადიქცა კაფე „ლირაში“ გამართული მეორე დეგუსტაციაც. ამჯერად მშვენიერი სასმელის გამო აღტაცების გამოსახატავად მოვიდნენ საკოდგტრო ფაბრიკების „კრასნი ოქტიაბრის“ და „ბოლშევიკის“ საფეიერო კომბინატ „კრასნაია როზის“, თამბაქოს ფაბრიკების „იავისა“ და „ლუკატის“, მეორე საათის ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკა „ბოლშევიჩკისა“, ლენინის ორდენოსანი კვების კომბინატის, „პრავდის“ სტამბის მუშები, სპეციალისტები და ბოსამსახურეები, თვალის საავადმყოფოს ექიმები, სხვა საწარმოებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

სურნელოვანი სასმელის გასასინჯად მოვიდნენ ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი ა. რადომცევი, მწერლები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ს. მიხალკოვი, ი. კოტენკო, პოეტი ე. ისაევი, ლენინური პრემიის ლაურეატი ჟურნალისტი ვ. პესკოვი, „კომსომოლსკაია პრავდის“ მეცნიერული მიმომხილველი ი. გოლოვანოვი, „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე გ. ოშეეროვი და სხვები.

თუმცა დეგუსტაცია სპეციალისტებისათვის კი არა მომხმარებლებისათვის ეწყობა, მაგრამ მოწვეულთა შორის ბევრი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება შესაფასებელი ფურცლების შევსებას. შესაფასებელ ფურცელს ავსებს თამბაქოს ფაბრიკა „იავის“ მუშათა სასადილოს გამგე ვ. ვოლკოვა. იგი ამბობს:

— ჩვენს სასადილოში მუშებს ვთავაზობთ პირველი ხარისხის ქართულ ჩაის. იგი ძალიან კარგია და სიამოვნებითაც სვამენ. შესვენების დროს 300 ჭიქაზე მეტ ჩაის ვუშვებთ.

ჭაოარათმიანი ქალი სიამოვნებით სვამს ჩაის. ეჯდება მის გვერდით და ვეცნობით ერთმანეთს.

— ეკგენია მიხეილის ასული ივანოვა, თვალის საავადმყოფოს ექიმი ოფთალმოლოგი, — მეცნობა იგი და დასძენს, — სამუშაოზე ხშირად ვიიღები. შინ ბრუნდები და ჭამაც კი არ გინდა. მაგრამ ერთი ჭიქა მა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

იდეოლოგიური მუშაობა — პარტიის მოწოდების დონეზე!

„ამომრჩეველთა კლუბი“. — ასეთ წარწერებს ახლა ხშირად შეხვდებით მეშახტეთა ქალაქ ტყიბულის მრავალსართულიანი სახლების ხედებზე. ერთი ასეთი კლუბი სტალინის სახელობის შახტის ტერიტორიაზეც მდებარეობს. მის ირგვლივ გაშენებულია მეშახტეთა კეთილმოწყობილი უბანი, რომელშიც ხუთიათასამდე კაცი ცხოვრობს.

როგორ და რა გზით შეიძლება სხვადასხვა ასაკისა და განათლების ჭეშმარიტ ერთ მეგობრულ კოლექტივად გაერთიანება? როგორ მოვაყოთ ძველი პოლიტიკური მუშაობა? აი, საკითხები, რომლებმაც დააფიქრა შახტის პარტიული კომიტეტის წევრები, მისი მდივანი — ძველი, გამოცდილი პარტიული მუშაკი ტ. გაბრიელიძე.

და განა მარტო პარტიული კომიტეტი?

კლუბში შევხვდით სარჩევ-სატვირთავი საამქროს უფროსს კომუნისტ დავთან ფხალაძეს, — კარგ, დაკვირვებულ ადამიანს. იგი ომამდე ადგილობრივ სამთო ტექნიკუმსა. თხუთმეტ წელზე მეტია აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა მეშახტეთა შორის. პარტიულ ორგანიზაციას მისთვის აგიტატორობა დაუვალებია. დავითს სულით და გულით უყვარს ეს საქმე. ამიტომ იგი ყოველთვის გულმოდგინედ ემზადება საუბრისათვის. კითხულობს დიდძალ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, წინასწარ ადგენს საუბრის გეგმას, თეზისებს.

ბოლო ხანებში ამ აქტივისტმა კომუნისტმა იგრძნო, რომ თუ ადრე მისი საუბარი მოსწონდათ მეშახტეებს და მოუთმენლადაც ელოდნენ მასთან შეხვედრას, დღეს ნაკლებად აინტერესებთ და ადარ იზიდავთ. დაკამალი როდია, ზოგიერთ მეშახტეს აგიტატორის საუბრის დროს აუტყდა მთქნარება, უფრო მეტი — ბევრს წაოვლიმა კიდეკაც.

და აქ დავითი მოგვიყვა ერთ საგულისხმო, მეტად დამახასიათებელ ეპიზოდს:

— ეს იყო თებერვალში, — გვითხრა მან, — ჩვენი ქვეყანა აღნიშნავდა საბჭოთა არმიის დაბადების 50-ე წლისთავს. საშახტო პარტიულმა კომიტეტმა მომზადებულ ბლები მიაგლინა საცხოვრებელ სახლებში, საეკასლოატაციო უბნებსა და საამქროებში. მე საუბრის მოწყობა სარჩევ-სატვირთავი საამქროს მუშებთან დამეკალა. საგანრიგოში დანიშნულ დროს მივედი. რამდენიმე წუთში აუდიტორია ხალხით გაივსო. საუბარი ჩვეულებრივად დავიწყე. მეშახტეებს დაწვრილებით მოვუთხრე საბჭოთა არმიის შექმნის ისტორია, აუარადღება გავამახვილე ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერებაზე, ვალაპარაკე მის თანამედროვე აღჭურვილობაზე. მაგრამ რა, მსმენელებს თვალებში ვატყობ, რომ ჩემი საუბარი გულს არ ხვდებათ, ზოგიერთს ძილიც მოერია. საუბარს დავუჩქარე და მალე დავამთავრე.

— შეკითხვა თუ გაქვთ? — მივმართე ახალგაზრდებს.

— ყველაფერი გასაგებია, — ერთხმად წამოიძახა რამდენიმე მსმენელმა, — გუშინ საღამოს ტელევიზორში მოვუსმინეთ გადაცემას ამ თემაზე, გაზეთშიც წავიკითხეთ, ამ საკითხს რადიოც ფართოდ გამოეხმაურა; ერთი სიტყვით, ყველაფერი ნათელი და გასაგებია. შეიძლებოდა საუბარი ადარ მოგეწყოთო...

მეშახტეები ნამდვილად სწორნი იყვნენ. მართლაც, და არ შეიძლება ადამიანებს შესთავაზოთ ისეთი საუბარი, რომელიც პრაქტიკის ყველა საშუალების — რადიოს, გაზეთის, ტელევიზორის ყურადღების ცენტრშია და შენ არ ეძებ, მითუმეტეს არ იყენებ ადამიანებთან პოლიტიკური მუშაობის ახალ გზებსა და ფორმებს.

— მთელი ღამე არ მძინებია, — განაგრძო საუბარი დ. ფხალაძემ, — ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ შემდგომში როგორ გამეხადა საუბარი უფრო საინტერესო, მიმზიდველი. გადავწყვიტე საუბრის მსგელობაში გამომეყენებინა სხვადასხვა ტექნიკური საშუალება. ამხანაგმა მათხოვა დიაპროექტორი და რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი დიაფილმი.

მორიგი გამოსვლა მივუძღვენი მეტად აქტუალურ თემას—„ხუთწლედის ნაბიჯები“, რომლისთვისაც წინასწარ მოვემზადე. ვილაპარაკე იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ხუთწლედი ჩვენს ქვეყანაში, თან ვუჩვენე კინოკადრები. ამან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ისინი სულგანაბული მისმენდნენ. საუბარი გაცხოველებულ კამათში გადაიზარდა, ბევრმა მეშახტემ თავისი აზრი გამოთქვა, კონკრეტული წინადადებები წამოაყენა, რომელთა უმრავლესობა ხუთწლედის დავალებათა უკეთ შესრულებას ეხებოდა. მსმენელებმა მთხოვეს შემდგომშიც საუბრების დროს გამომეყენებინა დიაფილმები. ასეც ვიქცევი.

ბოლო დროს კომუნისტები პოლიტიკურ მუშაობაში ფართოდ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ამ სიახლის დანერგვამ ინტერესი გამოიწვია მეშახტეებში.

შახტის პარტიულ კომიტეტს იდეოლოგიურ მუშაობაში ქმედითდაზმარებას უწევს საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია, რომელიც აქ დიდი პოპულარობით სარგებლობს, ოცამდე წევრს ითვლის. მის შემადგენლობაში არიან პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელები, სამთო ინტელიგენტები. „ცოდნის“ ყველა წევრს უმაღლესი განათლება აქვს.

ამას წინათ პარტიული განათლების კაბინეტში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მათ წინაშე ლექციით გამოვიდა საზოგადოების წევრი ი. ბარბაქაძე. ლექტორმა ანალიზი გაუკეთა უკანასკნელი კვირის მანძილზე მომხდარ საერთაშორის მოვლენებს. მეშახტეებმა ღრმად შეიცნეს ყოველივე ის, რაც გაზეთში წაიკითხეს და რადიოთი მოისმინეს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში მეშახტეებთან ეწყობა პოლიტიკური ინფორმაციები. პოლიტინფორმატორები ვ. მინაშვილი, ლ. კორძაძე, ა. მიქიაშვილი, ს. კვაბაძე, კ. კუბლაშვილი და სხვები მოწინავე, მომზადებული ამხანაგები არიან. ისინი ყოველი გამოსვლა-ინფორმაციის ბოლოს ეუბნებიან ადამიანებს: „ეს ინფორმაციებიც ... ეს ... ...

საერთაშორისო სხივჩენა

მსოფლიოს დევიზეთა საკავენტოები გვაერთიანებენ

ვიეტნამის პრობლემა უნდა გადაიჭრას!

მეორე ოფიციალური შეხვედრა პარიზში

ლენინგრადი სუბრის დროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მინისტრმა სუან თხიუმ და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა, პრეზიდენტ ჯონსონის საგანგებო დავალებათა ელჩმა ა. ჰარიმანმა უპასუხეს განცხადებებს, რომლებიც ორი ქვეყნის დელეგაციებმა გაავრცელეს წინა, 13 მაისის შეხვედრაზე.

ორივე დელეგაციამ გავრცელა ლენინგრადელ ოფიციალურ საუბარზე თავიანთ წარმომადგენლთა გამოსვლების ტექსტები.

თავის სიტყვაში სუან თხიუმ აღნიშნა, ჩემმა კეთილმა გამოჩენა ეთილი ნება, როცა გამოთქვა მზადყოფნა გაემართა საუბრები ამერიკის მხარესთან და შესთავაზა შეხვედრის ადგილი და თარიღი, რომლებსაც გარკვეული გაჭიანურების შემდეგ ბოლოს და ბოლოს დათანხმდა ამერიკის მხარე, რამაც შექმნა შესაძლებლობა დაგვეწყო ოფიციალური საუბრებიო. „მაგრამ კარგად განვითარდება თუ არა ეს საუბრები, მოჰყვება თუ არა მათ რაიმე შედეგი, — დასძინა სუან თხიუმ, — ეს ახლა დამოკიდებულია იმ პოზიციაზე, რომელსაც დაიკავებს ამერიკის მთავრობა".

„ვწუხვარ, — განაგრძო მან, — მაგრამ, როცა 13 მაისს გავეცანი ამერიკის მთავრობის ახლანდელ პოზიციას ვიეტნამის პრობლემაში, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ დღეს წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეიცავს არც ერთ ახალ ელემენტს, რომელიც თავისი ბუნებით შეესაბამებოდეს მშვიდობის საქმისათვის ხელსაყრელ მიმართულებას".

მოთხოვნაზე, რომ კონფლიქტში მონაწილე ორმა მხარემ სამხედრო მოქმედების შემცირების დროს „დაიცვას ნაცვლების პრინციპი", სუან თხიუმ ასე უპასუხა: **„შეერთებული შტატების მთავრობამ მოითხოვა „ნაცვლების პრინციპის" დაცვა, რაც პრაქტიკულად ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები მხოლოდ იმის შემდეგ შეწყვეტენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვას, როცა სამხრეთ ვიეტნამის არმია და ხალხი შეწყვეტენ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მაშინ, როცა ნახევარი მილიონი ამერიკელი აგრესორი კვლავ ულეტს ვიეტნამელ ხალხს და ანგრევს ვიეტნამს".**

„თავს ნებას მივცემ მოგაგონოთ, — დასძინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, — რომ შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელმაც დაიწყო აგრესია, თვითონ უნდა დაამთავროს იგი. და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა აქვს რაიმე უფლება მოსთხოვოს ვიეტნამელ ხალხს გადიხადოს რაღაც ფასი იმისათვის, რომ ამერიკამ შეწყვიტოს აგრესია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ".

„საზოგადოებრიობას არ დაეწყება ის თაქტი, რომ სწორედ ამერიკის მთავრობამ დაარღვია უხეშად ვიეტნამის დემილიტარიზებული ზონის სტატუტი: მან განახორციელა დაბომბვის რეიდები, მათ შორის „ბ-52" ტიპის ბომბდამშენთა რეიდები დასახლებული რაიონების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, ზემოაღნიშნული ზონის სამხრეთით მდებარეობს ეს რაიონები თუ ჩრდილოეთით; მან უბრძანა ტროებითი სამხედრო სადემარკაციო ხაზის სამხრეთით განლაგებული შორსსროლელტ არტილერიის ნაწილებს დოდალამ დაუშინონ ცეცხლი დემილიტარიზებულ ზონაში და ვინ ლინის მახლობლად მდებარე რაიონებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე".

„ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა, — თქვა სუან თხიუმ, — შესაძლებელია მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ცნონ ვიეტნამელი ხალხის ძირეული ეროვნული უფლებები და მკვეთრად განასხვაონ აგრესორი და აგრესიის მსხვერპლი. ოთხი პუნქტი, რომლებიც ჩამოაყალიბა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამა კვლავ ვიეტნამელი ხალხის დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პოზიციის საუძველს შეადგენენ.

მშვიდობიანად რომ გადაიჭრას ვიეტნამის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ შეერთებულმა შტატებმა საბოლოოდ და რაიმე პირობის დაუთქმელად შეწყვიტონ დაბომბვა და ყველა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ,

1. შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს თავისი სამხედრო ხომალდებისა და თვითმფრინავების გაგზავნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის — თანდ ჰოიდან ვინ ლინამდე დაბომბვისათვის.

2. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს სხვა საომარი აქტები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ესე იგი მზვერავი თვითმფრინავების ფრენა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ფურცლებისა და სხვა საგნების ჩამოგდება, რომლებიც განეკუთვნება „ფსიქოლოგიური ომის" ცნების კატეგორიას, შეწყვიტოს დივერსიული ჯგუფების გაგზავნა საჰაერო და საზღვაო გზით ან ლაოსის გავლით, საარტილერიო ცეცხლი დემილიტარიზებული ზონის სამხრეთ ნაწილში განლაგებული ბაზებიდან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების დარღვევა. პროფესიონალები და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა მოტაცება და სხვ.

3. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საბოლოოდ უნდა შეწყვიტოს დაბომბვა და ყველა სხვა საომარი აქტი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე რაიმე პირობის დაუთქმელად.

ა. ჰარიმანის გამოსვლა, არსებითად, შეიცავდა ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების გამართლებას. ამერიკელი ელჩი შეეცადა თავი აერიდებინა ვიეტნამის ამბების ანალიზისათვის და განაცხადა, რომ ახლა არ ღირს წარსულის ფაქტებზე შეჩერება, არამედ ამჟამად საჭიროა მხოლოდ კონფლიქტის მოწესრიგების გზების განხილვა. სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ჯარების ყოფნას, როგორც შენ თქვა, „კანონიერი საფუძველი აქვს", და მთელი პასუხისმგებლობა კონფლიქტისათვის თითქოს ეკისრებოდეს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

შეეხო რა კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემას, ჰარიმანმა განაცხადა, რომ „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებში არის საერთო დებულებანი და „დამთხვევის პუნქტები".

ვეზენიტეთა ნაღავლი

ჯანოი, 16 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო დაცვის მებრძოლებმა 14 მაისს ჰატინის პროვინციაში ჩამოაგდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში შეჭრილი ამერიკული თვითმფრინავი.

11 და 13 მაისს ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა კუანგბინისა და პატინის პროვინციებში ჩამოაგდეს ექვსი ამერიკული თვითმფრინავი. ამრიგად, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავების საერთო რიცხვი ამა წლის 14 მაისისათვის 2.920 შეადგენს.

მექსიკის დედაქალაქ მექიკოში გაიმართა მრავალთასიანი სტუდენტური დემონსტრაცია ვიეტნამში ამერიკის აგრესიული ომის წინააღმდეგ. იგი დამთავრდა მასობრივი მიტინგით ხუარესის ქუჩაზე. მუშებს, სტუდენტებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს მოუწოდებთ ლოზუნგები: „ვიეტნამი გაიმარჯვებს!", „ძირს ამერიკის იმპერიალიზმი!".

ტელეფოტო ე. სარატოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მსოფლიოდ ფაქტები

● **პარიზი,** 16 მაისი. (საკდესი). „ვიეტნამში 1968 წლის გაზაფხულზე" — ასე უწოდეს ორგანიზატორებმა შეხვედრას, რომელიც გუშინ მოაწყო საფრანგეთ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოებამ. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი შეკრებილთ გაუზიარეს საზოგადოების გენერალურმა მდივანმა კომუნისტმა მეურალმა შარლ ფურნიომ და საზოგადოების პრეზიდენტმა ანრი მარტენმა. მარტენი ისაუბრა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციის შემადგენლობაში.

● **ალჟირი,** 16 მაისი. (საკდესი). ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰუარი ბუმედიენმა განაცხადა, რომ ალჟირში აგრარული რეფორმის საკითხს სწავლობენ მისი საუკეთესო გადაწყვეტის მიზნით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირს სჭირდება ნამდვილი აგრარული რევოლუცია, საქმარისი არ არის მხოლოდ მიწა მივიღეთ ფეოდალებს, თქვა ბუმედიენმა, საჭიროა კიდევ გამოიყოს ათთვის ფინანსური სახსრები მიწის დასაშუშავებლად.

ბუმედიენმა ეს განაცხადა გუშინ ადგილობრივი პრესის ხელმძღვანელ მუშაკებთან შეხვედრაზე.

● **ნიუ-იორკი,** 16 მაისი. (საკდესი). ფუხელ დიდი დამანგრეველი ძალის გრიბალმა გადაუარა ამერიკის ცენტრალურ ნაწილში შვიდი შტატის ტერიტორიას.

როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ფინასწარი მონაცემების მიხედვით, დაიღუპა 50-ზე მეტი და დაშავდა 600-მდე კაცი.

გამძვინვარებულმა სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მრავალი ქალაქის მეურნეობას. მარტო ალიბამის შტატს გრიგალმა 19 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა.

● **რომი,** 16 მაისი. (საკდესი). „იტალია ველარ ითვლის იმ გზით, რომელმაც ახლანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. იგი ტყუილად ველარ დაკარგავს კიდევ ხუთ წელს. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ამომრჩეველს ხმა მისცეს კომუნისტურ პარტიას, მის პოლიტიკას, იტალიის დემოკრატიული განახლებისა და სოციალური პროგრესის პოლიტიკას, თანამედროვე სოციალისტური სახელმწიფოს აშენებას". ასეთი მოწოდებით მიმართა გუშინ მილიონობით მოქალაქეს იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ლონგომ, რომელიც იტალიის ტელევიზიით გამოვიდა.

„მისაკისშერი ჭირი" შარეს ნაპირებზე

დასავლეთი ბერლინი, 16 მაისი. (საკდესი). **დასავლეთ ბერლინის დემოკრატიული საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს აქაურ ნეონაციასტთა ახალი პროპაგანდისტული აქცია, რომელიც დასახულია 18 მაისისათვის. ეს აქცია, რომელსაც უწოდებენ „ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დღეს" დასავლეთ ბერლინში, ითვალისწინებს დიდი მიტინგისა და სხვა პროპაგანდისტული ღონისძიებების მოწყობას.**

დასავლეთ ბერლინის პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობამ გუშინ მოითხოვა წინააღმდეგნენ ნეოფაშისტთა აქტივიზაციას ქალაქში. „ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დღეს" გამგეობამ უწოდა „მთელი დემოკრატიული ძალების აბუჩად აგდება" და განაცხადა, რომ „ყოველ ღონეს იხმარს ამ ღონისძიების წინააღმდეგ.

დამახასიათებელია, რომ დასავლეთ ბერლინის ხელისუფალნი მფარველობენ ნეოფაშისტებს დასავლეთ ბერლინში. სენატი „ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დღის" ორგანიზატორებს დაუთმო შენობა მიტინგის მოსაწყობად, და ნება დართო ამ პარტიის წევრებს ატოკოლონით ჩაიარონ ქალაქის ქუჩებში აგიტაციის მიზნით. დასავლეთ ბერლინის ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას სურს თავის თავყრილობას რეკლამა გაუწიოს უამრავი პლაკატის საშუალებით, რომლებიც უნდა გამოჭიდონ ქალაქში. გარდა ამისა, მზადდება ნეონაცისტური „კონსერვატორთა ნაჩრიხტენის" სპეციალური გამოშვების გავრცელება.

„ნეონაციზმი — აბსურდია".

„ოლენშპიგელი", ბერლინი.

ტელეტაიპის ლენტიდან

● *ვიეტნამი*

საჰაერო განგაში

□ **ჯანოი,** 16 მაისი. (საკდესი). დღეს ჯანოიში 13 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით საჰაერო განგაში გამოცხადდა. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საჰაერო სივრცეში შემოიჭრა ამერიკული თვითმფრინავი. ქალაქის საჰაერო დაცვის ნაწილებმა თვითმფრინავს ცეცხლი დაუშინეს.

● *კამბოჯა*

მორიგი პროვოკაცია

გნომპენი, 15 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი კამბოჯის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა ბნომპენში, ნათქვამია, რომ ამერიკა-საიგონის ჯარების ჯარისკაცთა ჯგუფი 28 აპრილს ღამით შეიჭრა სვაირიენგის პროვინციის ტერიტორიაზე 500 მეტრით და თავს დაესხა კამბოჯის პატრულს. ინტერვენტებმა ხელი იგდეს და წაიყვანეს სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე ხუთი კამბოჯელი სამხედრო მოსამსახურე იარაღითა და საომარი აღჭურვილობით.

● *იაპონია*

ქვლევ მონაპოვლის საფრთხე

ტოკიო, 16 მაისი. (საკდესი). ოკინავის ოპოზიციური პარტიების, აგრეთვე მმართველი პარტიის პროტესტების მიუხედავად, დღეს ოკინავას ნავსადგურში შემოვიდა ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავი „ქუინფიში", წერს გაზეთი „იომიური". ოკინავის ხელისუფლებმა, რომელთაც ახლოვთ იაპონის სანებოს ნავსადგურის რადიოაქტიური მოწამვლის ინციდენტი, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ იდგა ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ატომური წყალქვეშა ნავი, გადაწყვეტეს დამოუკიდებლად შეამოწმონ ხოლმე ნავსადგურში წყლის რადიოაქტიურობა და უარი თქვეს ამ სამუშაოთა წარმოებაზე ამერიკელ სპეციალისტებთან ერთად.

ავანგარდი ვაშინგტონში შედის

ვაშინგტონი, 15 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო გვაუწყებინებს:

500-ზე მეტმა მისისიპელმა ზანგმა — ვაშინგტონში ღარიბთა ლაშქრობის ავანგარდმა დაიწყო თავისი ვასტი კარვების ქალაქში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში „ლინკოლნის" მონუმენტის მახლობლად არის გაშლილი. ვაშინგტონი მტრულად შეხვდა მისისიპელებს. გუშინ ძალიან ცივი ამინდი იყო, ხოლო საღამოთი გაწვიმდა. მიგრამ ამინდზე უფრო ცივი იყო მილება, რომელიც ხელისუფლებმა მოუწყეს ლაშქრობის მონაწილეებს. ქალაქისა და ფედერალური ხელისუფლება აფრთხილებენ ღარიბებს, რომ ნუ ეკნებათ ნურავითარი მატერიალური დახმარების იმედი.

ლაშქრობის მონაწილეებს მუდამ მოაგონებენენ, რომ ყოველ „საბოქალაქო ურჩობას" ძალით ჩაახშობენ. რადიოთი გადასცემენ პენტაგონის გადწყვეტილებას, რომ ვაშინგტონის მახლობლად სავსებით საბრძოლოდ არის გამზადებული ათასობით ჯარისკაცი, რომლებსაც ღარიბთა წინააღმდეგ გამოიყენებენ, თუ ისინი „დაარღვევენ წესრიგს".

საპროტესტო დემონსტრაცია გეირუთში

ბეირუთი, 15 მაისი. (საკდესი). **დღეს ლიბანის დედაქალაქის ქუჩებში გაიმართა ისრაელის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაცია.** დემონსტრანტებს მიუძღვებოდნენ სამხრეთ ლიბანის სოფლის ხელის მცხოვრებლები, რომლებსაც ამ დღეებში ბარბაროსულად დაუშინა ცეცხლი ისრაელის არტილერიამ. დემონსტრანტთა კოლონამ ჩაიარა ბეირუთის მთავარ მაგისტრალებზე, შეჩერდა პარლამენტის შენობის წინ ოა შემდეგ გაემართა პრეზიდენტის სასახლისაკენ.

დეშონსტრანტებს მიჰქუხდათ პლაკატები და გაიძახოდნენ ლოზუნგებს, რომლებიც მოუწოდებდნენ არაბეთის ერთობის განმტკიცებისაკენ, ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად. ტრანსპარანტებზე წარწერილია მოწოდებანი: „გავაძლიეროთ წინააღმდეგობა ისრაელის აგრესიისადმი!", „ამერიკის იმპერიალიზმი არაბი ხალხის მტერია!", „გაუმარჯოს არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას — იმპერიალიზმის წინააღმდეგ არაბთა ბრძოლის დასაყრდენს!",

ტოკიოს საერთაშორისო კონგრესზე

ტოკიო, 15 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ლ. მარკელოვა გვაუწყებინებს:

დღეს კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კონგრესზე მუშაობა დაიწყეს სექციებმა, რომლებიც იხილავენ წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული კვლევის უმნიშვნელოვანეს შედეგებს.

იმ პირობების განხილვაში, რომლებიც დაკავშირებულია თანამგზავრებზე დაკვირვების საერთაშორისო სამსახურის გაუმჯობესებასთან, მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის მეცნიერებმა.

მოხსენებაში, რომელიც კონგრესს საბჭოთა მეცნიერებმა წარუდგინეს, აღნიშნული იყო, რომ გიგანტელ წელს ახასიათებს თანამგზავრთა ოპტიკური დაკვირვების კოლექტიურ სამუშაოთა შემდგომი განვითარება. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიულმა საბჭომ მიიღო დაახლოებით სხვადასხვა თანამგზავრის გავლის 200 ათასამდე დაკვირვება.

დაკვირვებებში, გარდა საბჭოთა სადგურისა, მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ჰოლანდიის, ბელის, იტალიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ფინეთისა და შვეიცის სადგურები. ამ მეცნიერული თანამშრომლობის მიზანი უმთავრესად იყო მოცეული დაკვირვებათა გამოყენების ამოცანის გადაჭრა გეოფიზიკურ და გეოდეზიურ ამოცანათა გადაწყვეტად.

ძველი პოზიციები

ვაშინგტონი, 16 მაისი. (საკდესი). **ვაშინგტონის პრეს-სამსახურმა „ნიარ ისტ რიპორტმა" მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატების გამოკითხვა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ. გამოქვეყნებული პასუხები მოწმობენ, რომ ყველა კანდიდატი — დემოკრატებიცა და რესპუბლიკელებიც ისრაელის მხარეზე არიან.**

ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რესპუბლიკური პარტიისაგან რ. ნიქსონი მოუწოდებს „ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ ისრაელის სამხედრო ძლიერება ყოველთვის ჯარობდეს არაბულ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებს". დემოკრატმა სენატორმა რ. კენედიმ განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები „მზად უნდა იყოს ისრაელს მიაყოდოს რაკეტიული თვითმფრინავები და სხვა საჭირო იარაღიო"; სენატორ ი. მაკარტის წინადადებაა „უფრო გაალიერონ ისრაელი" იმითა, რომ იარაღი მიაწოდონ.

პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატთა ასეთი გამონათქვამები უდავოდ ცხადყოფენ, რომ ყველანი ცდილობენ მომავალ არჩევნებში მიიღონ ამერიკის შეერთებულ შტატებში გავლენიანი სიონისტური ორგანიზაციების მხარდაჭერა და ხმები. გარდა ამისა, აღნიშნავს „ნიარ ისტ რიპორტი", ეს პასუხები საშუალებას გვაძლევენ გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ვინც უნდა ჩაუდგეს სათავეში შეერთებული შტატების ხელისუფლებას, ამის შედეგად რადიკალურად არ შეიცვლება ამერიკის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში.

შრომა და კაპიტალი

იტალია

□ **რომი.** ამ დღეებში მთელ იტალიაში მიმდინარეობს გაფიცვები, საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები.

რომში, მილანში, პალერმოში, ტორინოში, გენუასა და იტალიის ბევრ სხვა ქალაქში გაფიცულ არიან ფოსტის, ტელეფონისა და ტელეგრაფის მუშაკები. გაფიცვა გამოუცხადდა იტალიის სამი უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების მოწოდებით მშრომელთა იმ მოთხოვნების მხარდასაჭერად, რომ გაუდიდონ ხელფასი, შემოიღონ ნორმირებული სამუშაო დღე და ცნონ პროფკავშირული ორგანიზაციების უფლებანი.

ინგლისი

□ **ლონდონი.** 15 მაისს მთლიანად შეწყდა ინგლისის მრეწველობის ბევრი დარგის მუშაობა იმის შედეგად, რომ მანქანათმშენებელთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა გამოაცხადა ერთი დღის საერთო ეროვნული გაფიცვა. ამ პროფკავშირის რიგებში გაერთიანებულია ერთ მილიონზე მეტი კაცი. ინგლისელი მანქანათმშენებლები დიდი ხანია მოითხოვენ ქალთა შორის თანაბარ ანაზღაურებას, უფრო ხანგრძლივ ყოველწლიურ შვებულებას, ხელფასის გადიდებას.

ეკვადორი

□ **გუაიაკილი.** ეკვადორის გუაიასის პროვინციის ორი ათასამდე მასწავლებელმა გამოაცხადა გაფიცვა. ისინი მოითხოვენ რამდენიმე თვის მიუცემელი ხელფასის გადახდასა და განათლების დარგში პოლიტიკის გადასინჯვას.

ინდოეთი

□ **დელი.** ინდოეთის ქალაქ კალკუტაში 400 ტრამვაიდან არც ერთი არ გასულა დეპოდან 10 ათასი ტრამვაელის გაფიცვის შედეგად, იუწყება ინდოეთის დეპეშათა სააგენტო. გაფიცულნი მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას. (საკდესი).



ბოლოდ ფაქტები

● **პარიზი,** 16 მაისი. (საკდესი). „ვიეტნამში 1968 წლის გაზაფხულზე" — ასე უწოდეს ორგანიზატორებმა შეხვედრას, რომელიც გუშინ მოაწყო საფრანგეთ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოებამ. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი შეკრებილთ გაუზიარეს საზოგადოების გენერალურმა მდივანმა კომუნისტმა მეურალმა შარლ ფურნიომ და საზოგადოების პრეზიდენტმა ანრი მარტენმა. მარტენი ისაუბრა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციის შემადგენლობაში.

● **ალჟირი,** 16 მაისი. (საკდესი). ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰუარი ბუმედიენმა განაცხადა, რომ ალჟირში აგრარული რეფორმის საკითხს სწავლობენ მისი საუკეთესო გადაწყვეტის მიზნით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირს სჭირდება ნამდვილი აგრარული რევოლუცია, საქმარისი არ არის მხოლოდ მიწა მივიღეთ ფეოდალებს, თქვა ბუმედიენმა, საჭიროა კიდევ გამოიყოს ათთვის ფინანსური სახსრები მიწის დასაშუშავებლად.

ბუმედიენმა ეს განაცხადა გუშინ ადგილობრივი პრესის ხელმძღვანელ მუშაკებთან შეხვედრაზე.

● **ნიუ-იორკი,** 16 მაისი. (საკდესი). ფუხელ დიდი დამანგრეველი ძალის გრიბალმა გადაუარა ამერიკის ცენტრალურ ნაწილში შვიდი შტატის ტერიტორიას.

როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ფინასწარი მონაცემების მიხედვით, დაიღუპა 50-ზე მეტი და დაშავდა 600-მდე კაცი.

გამძვინვარებულმა სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მრავალი ქალაქის მეურნეობას. მარტო ალიბამის შტატს გრიგალმა 19 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა.

● **რომი,** 16 მაისი. (საკდესი). „იტალია ველარ ითვლის იმ გზით, რომელმაც ახლანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. იგი ტყუილად ველარ დაკარგავს კიდევ ხუთ წელს. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ამომრჩეველს ხმა მისცეს კომუნისტურ პარტიას, მის პოლიტიკას, იტალიის დემოკრატიული განახლებისა და სოციალური პროგრესის პოლიტიკას, თანამედროვე სოციალისტური სახელმწიფოს აშენებას". ასეთი მოწოდებით მიმართა გუშინ მილიონობით მოქალაქეს იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ლონგომ, რომელიც იტალიის ტელევიზიით გამოვიდა.

„ნეოფაშისტური ჭირი" ბონის მმართველი წრეები

ბონის მმართველი წრეები დასავლეთგერმანელი სოციალ-დემოკრატების აქტიური თანამონაწილეობით ამ ბელს უწყობენ ნეონაციზმის ზრდასა და გააქტიურებას, ამავე დროს ყოველნაირად ცდილობენ შეანელონ ყურადღება „მემარჯვენე ექსტრემისტული დაჯგუფების" მზრდელ მოსალოდნელი საშიშროებისადმი.

„ბოლენშპიგელი" — ომი ინდოჩინეთში

ბერლინი, 16 მაისი. (საკდესი). „ბოლენშპიგელი" ამ ბელ ბერლინში ამ ბელ ბერლინში ამ ბელ ბერლინში

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და გიორგი ერისთავის სახელობის დიპლომანტური პრემიები

პროფკავშირულ კულტურულ დაწესებულებებში ნაყოფიერად მუშაობენ ლიტერატურული გაერთიანებები და წრეები, რომლებშიც მხატვრული სიტყვის ოსტატობას ეუფლებიან ჩვენი რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ასობით მუშა-მოსამსახურე, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაარსა პრემიები ლიტერატურულ გაერთიანებათა და წრეების წევრთა საუკეთესო ნაწარმოებებისათვის პროზის დარგში: ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიები — ერთი პირველი პრემია 500 მანეთის ოდენობით, ორი მეორე პრემია — 300-300 მანეთი; პროზის დარგში: აკაკი წერეთლის სახელობის პრემიები — ერთი პირველი პრემია 500 მანეთის ოდენობით, ორი მეორე პრემია — 300-300 მანეთი. დრამატურგიის დარგში — გიორგი ერისთავის სახელობის პრემიები — ერთი პირველი პრემია 500 მანეთის ოდენობით, ორი მეორე პრემია — 300-300 მანეთი.

პრემიები მიენიჭება ყოველწლიურად 25 თებერვალს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს.

(საქ-დესი).

ნაირ-ნაირი

საგასტროლოდ გერმანიაში

სოხუმი. (საკ. კორ.). საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების ქალაქ კარლ-მარქს-შტადტის საოლქო საბჭოს მიწვევით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საგასტროლოდ იმყოფება აფხაზეთის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი „აფსნი“, რომლის რეპერტუარშია როგორც ეროვნული, ისე უცხოეთის ხალხთა სიმღერები და ცეკვები.

ანსამბლს ხელმძღვანელობს ხაჭართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი შ. ვპარდანია, ქორეოგრაფები შ. უურუა და ა. ვაშაკიძე, საესტრადო ორკესტრს ხელმძღვანელობს რ. მიტიჩიანი.

აფხაზეთის მხახიობები დაათვალიერებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდებიან ვეტერან კომუნისტებს, გაეცნობიან მეგობრების შრომასა და ხელოვნებას.

ამ დღეებში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სახელზე მოვიდა დეპეშა კარლ-მარქს-შტადტიდან. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის კარლ-მარქს-შტადტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამბ. ლიუდგარდტი აფხაზეთის მშრომელებს გულითადად ულოცავს პროლეტარიატის დიდი ბელადის კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავის ინტერნაციონალურ დღესასწაულს და ერთდროულად იუწყება, რომ კარლ-მარქს-შტადტში წარმატებით ჩატარდა აფხაზეთის მხახიობთა გასტროლები.

თბილისი. კვირაობა დედაქალაქის ფუნიკულორის კლატოზე.

ოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ხვედელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი გვარი ავადგომლელი ავადგომელი ... ეკუთვნოდა ... ეროვნული ... ...